NATIONAL FOOD AGENCY
Digitally signed by NATIONAL FOOD AGENCY
Date: 2019.04.11 15:15:58 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №168/2019

ქ. თბილისი „11“ აპრილი 2019 წ.

ერთის მხრივ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო (შემდგომში “შემსყიდველი”) წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის ზურაბ ჩეკურაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ნობლექსი“** (შემდგომში “მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ედიბერიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]” ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა” ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება” – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური სავარაუდო ღირებულება, რომლის ფარგლებშიც შემსყიდველმა უნდა განახორციელოს გადახდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არის გათვალისწინებული.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. უფლებამოსილი პირი - შემსყიდველისა/მიმწოდებლის წარმომადგენელი, რომელითაც მასზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე ახორციელებს შესაბამის უფლება-მოვალეობებს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის საკუთრებაში არსებული CLAAS-ს ფირმის ტრაქტორების დიაგნოსტიკა, ტექნიკური მომსახურება და რემონტი, შემსყიდველის მხრიდან წერილობით შეტყობინების (მათ შორის ელექტრონულად) მიღებიდან ხელშეკრულების მე-10 მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

2.2. თითოეულ შესაკეთებელ ტექნიკაზე მიმწოდებლის მიერ წინასწარ დგება დათვალიერების აქტი, რომელშიც აღინიშნება შესასრულებელი მომსახურება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 4990 (ოთხიათას ცხრაას ოთხმოცდაათი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.3. მომსახურების ფასი განისაზღვრება:

3.3.1. 1 მობილური ჯგუფი - 94,00 ლარი / 1 საათი;

3.3.2. მომსახურების მინიმალური ღირებულება - 94,00 ლარი (1 საათზე ნაკლები დროის შემთხვევაში);

3.3.3. ფასი იანგარიშება სამუშაო ჯგუფის დანიშნულების ადგილზე სამუშაოს დაწყების მომენტიდან მის სრულ დამთავრებამდე. დროის დამრგვალება მოხდება 30 წუთის ბიჯით. (47,00 ლარი ყოველი დაწყებული 30 წუთისათვის).

3.4. ამ სამუშაოების შესრულებისთვის წარმოქმნილი დამატებითი ხარჯების (ტრანსპორტირება, სასტუმრო,) ფასი განისაზღვრება შეკვეთა-მიწოდების საფუძველზე მხარეთა შეთანხმებით.

3.5. ყოველი კონკრეტული დაკვეთა დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და ანგარიშფაქტურის გამოწერით.

3.6. ხელშეკრულების დაფინანსების წყაროა საქართველოს მთავრობასა და ევროპის გაერთიანებათა კომისიას შორის, 2007 წლის 18 ივნისს ხელმოწერილი ჩარჩო შეთანხმების ფარგლებში, ევროკავშირსა და სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს შორის, ყოვლისმომცველი ინსტიტუციონალური განვითარების მხარდაჭერასთან დაკავშირებით გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახსრები (CIB).

4. მომსახურების გაწევის პირობები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას მიმწოდებელი უზრუნველყოფს შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

4.2. მიწოდების ადგილი განისაზღვრება შეთანხმებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, შემსყიდველის შეტყობინებისა და ტექნიკის ადგილმდებარეობის მიხედვით.

4.3. ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი და ვადის გასვლის მომენტისათვის შეუსრულებელი/მიმდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

4.4. ტექნიკის დაზიანების შემთხვევაში (შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად) შემსყიდველი და მიმწოდებელი სამუშაოების დაწყებამდე ადგენენ "წინასწარი დათვალიერების აქტს," რომელშიც აღინიშნება შესასრულებელი სამუშაო და ფასი რის საფუძველზეც ხდება შემდგომში ტექნიკის შეკეთება და ანაზღაურება. რომელსაც ხელს აწერენ უფლებამოსილი პირები და ადასტურებენ სამუშაოების დაწყების მზაობას.

4.5. სამუშაოების დაწყების შემდეგ, კიდევ სხვა დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში მხარეთა მიერ ერთობლივად ფორმდება დამატებითი „დეფექტური აქტი," რომელშიც აღინიშნება საბოლოოდ დადგენილი შესასრულებელი სამუშაო და გამოსაცვლელი ნაწილ(ებ)ი ფასების მითითებით.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

5.2. გაწეული მომსახურება დასტურდება უფლებამოსილ პირებს შორის სათანადოდ გაფორმებული „მიღება-ჩაბარების" აქტით და ანგარიშფაქტურით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი "მიღება-ჩაბარების აქტის" შესაბამისად გამოწერილი ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ფასები

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრს, რომლის შეცვლა დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებისა და ვადების დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

8.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია ხელშეკრულების 2.1 პუნქტში მითითებული შემთხვევის დადგომისას, თუ მიმწოდებელი ეთანხმება შეტყობინების შესრულებას, შემსყიდველის შეტყობინებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, დაწყებული შეტყობინების მომდევნო დღიდან, ხელი მოაწეროს დეფექტურ აქტს და მოახდინოს დაზიანების აღმოფხვრა, როგორც ეს მითითებულია ხელშეკრულების მე-10 მუხლში.

8.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი უარს აცხადებს შეტყობინების შესრულებაზე დასაბუთებული მიზეზის გამო, ამის შესახებ უნდა შეატყობინოს შემსყიდველს შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

8.5 მიმწოდებელი ულებამოსილია უარი განაცხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის/მომსახურების მიწოდებაზე თუ შემსყიდველის დავალიანება გადააჭარბებს 5 000 (ხუთი ათასი) ლარს.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება ხარისხიანი და შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს ყველა გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის გამოსწორება.

10. მომსახურების განხორციელების ვადები

10.1 მიმწოდებელი ვალდებულია, აღმოფხვრას ტექნიკური დაზიანება მხარეების მიერ, დეფექტური აქტის ხელმოწერიდან 10(ათი) კალენდარული დღის ვადაში.

10.2 დეფექტური აქტის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გაგზავნილი შეტყობინებიდან (ელექტრონული ფოსტით), არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

10.3 თუ, მიმწოდებლის მიერ დიაგნოსტიკის შედეგად დადგინდება, რომ ვერ ხერხდება ტექნიკური მომსახურების გაწევა საველე პირობებში და ტექნიკა საჭიროებს მიმწოდებლის სერვისში გადაყვანას, მიმწოდებელი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს დეფექტურ აქტში. ტექნიკის გადაყვანას ახორციელებს შემსყიდველი საკუთარი ხარჯებით.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებენ და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერენ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს რისკებზე რეაგირების დეპარტამენტის ტექნიკური მომსახურებისა და ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსი **გოგა ტურაშვილი** და ამავე სამმართველოს უფროს სიპეციალისტი **რამაზ ფონაძე** ;

11.2 მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს და მიღება-ჩაბარების აქტს გააფორმებს შპს. „ნობლექსი"-ს თბილისის რეგიონალური დირექტორი მალხაზი ბაბუნაშვილი.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მხარეებს არ აქვთ უფლება, ერთმანეთის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო, ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

14.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო, არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

14.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარე უფლებამოსილია დამრღვევ მხარესს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

14.4. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების 14.2. და 14.3. პუნქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოების ჯამური თანხა გადაარჭარბებს ხელშეკრულების 1%-ს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება;

14.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1.არავითარი ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა;

15.2.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად;

15.3. თუ, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1.ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკების გზითა და შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

16.2.თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

17. სხვა პირობები

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილისა ან ელექტრონული წერილის სახით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დადგება;

17.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მომწოდებელი
ს.ს.ი.პ. – სურსათის ეროვნული სააგენტო	**შპს „ნობლექსი“**
ს.კ. – 205142200 თბილისი, მარშალ გელოვანის № 6 სახელმწიფო ხაზინა ანგ. № 200122900 კოდი 220101222 ტელ: (+995 32) 291-91-68 (3071)	ს.კ. – 204471561 იურ.: თბილისი, კახეთის გზატკეცილი 155; ფაქტ.: თბილისი, კახეთის გზატკეცილი №155 მომსახურე ბანკი: ს.ს. “ბაზის ბანკი” ბ.ჯ. – CBASGE22 ა.ა. – GE58BS 0000 0000 2813 6879
სააგენტოს უფროსი **ზურაბ ჩეკურაშვილი** _____	**დირექტორი** _____ **ალექსანდრე ედიბერიძე**

Noblex LLC

Digitally signed by Noblex LLC
Date: 2019.04.11 16:58:58 +04'00'